გაუმარჯოს თავისფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1918 წ. № 16 კვირა, ქრისტეშობისთვის 22 ფასი 2 მან. წელიწადი მეექვსე გამოცემის

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ზე წლიური ფ სი 25 მან.

ნოე ჟორდანია
საქართველოს. მთავრობის თავმჯდომარე.

გრ. გიორგაძე—სამხ. მინისტრი.

ვალიკო ჯუღელი
სახალხო გვარდიის სარდალი.

გენ.—მ. კონიაშვილი
გვარდიის ერთი ხელმძღვანელთაგანი



-გენ მ. ი. ბედევანიშვილი
ბათუმის პარტიზანულ პოლკის სარდალი.

**შამულიშვილნო!** სამშობლო განსაცდელშია!.. **მოქალაქენო,** თავისუფლება საფრთხეშია... **მოეშველენით!...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკვდავების ხიდი

„მოკვდავთა ენათ არ ძალუძთ უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, ამბობს პოეტი, მაგრამ არის ერთი ენა, რომელიც გამოხატავს „უკვდავთა გრძნობათ“.

ეს არის წმინდა ხელოვნება, ადამიანთა სულიერ გონებრივ ცხოვრების ის ბერკეტი, რომელიც სამარადღეო დაქუცმაცებული მდგომარეობიდან ზეაგვწევ; გაველურებულ, არა ადამიანურ მიდრეკილებს დაგვიცხრობს, კაცად გვაქცევს, გულს მოგვილბობიერებს, სულს აგვიმაღლებს და უნეტარეს წუთებს განგვაცდევინებს. ეს არის უკვდავების ხიდი, უკვდავების ხიდი, არსებულ წარმართულ თვალით ხილულ ცხოვრებისა და უმაღლეს შვენა სიტკბოების მომფენ ნეტარების შორის გადებული...

ამისი გამსახიერებელია წმინდა ხელოვნების ყოველი დარგი.

არც ერთ კანონმდებელს, არც ერთს მტარვალ-მეფეს, არც ერთს მოღვაწეს არა აქვს ეგოდენი ძლიერება და გავლენა ხალხთა გონება ზნეობის წინსვლის საქმეში, რაოდენიც ხელოვნებას ..

და ჩვენშიც არავის და არაფერს ისე არ უმოძრავებია ხალხის საზოგადოებრივ სულიერი ცხოვრება, როგორც ამავე ხელოვნებას...

წმინდა ხელოვნება—ეს ახალი სარწმუნოებაა, რომელმაც კაცობრიობა უნდა გააერთიანოს, ერთს მცნებას აზიაროს და ვიდრე ადამიანთა მოდ ომა უმაღლეს ხელოვნების მოთხოვნილების თანახმად არ განსპეტაკებამდე, მანამდე კაცი კაცისათვის მძელი იქმნება...

ამიტომაც იყო, რომ ძველი საბერძნეთი, სადაც ერთხანად ხელოვნების აღყვავებამ უმაღლეს წერტილს უწია, უცხო ტომთ ველურებად ალიარებდენ; აკი სწორედ ამავე ველურებმა დაამხეს ხელოვნების უმაღლესი ქმნილებანი და თვით ხელოვნებაც

ჩვენს ხელოვნებას გასულ საუკუნეში რუსის ჩექმის ქუსლი სთელავდა, თავისუფალ განვითარების გზას არ უხსნიდა, რაიცა შეიქმნა მიზეზი ჩვენის ხალხის ჩამოქვეითებისა...

ტყუილად-კი არა სთქვა მგოსანმა:

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს,-ო

ჩვენმა საუკუნიანმა მონებამ არა თუ ენა წაგვიხდინა, არამედ ყოველი დარგი ეროვნულ ხელოვნების შემოქმედებისა ..

ამის შედეგს აშკარად ვხედავთ ჩვენის ქვეყნის ყოველ ჩამორჩენილ კუთხეში.

და დღეს, ნაცვლად იმისა რომ ყოველის ღონისძიებ თ ვცდილობდეთ ხელოვნების აღყვავებას ერის სასიკეთოდ, თითქმის უყურადღებოდ გვაქვს მიტოვებული იგი უბრალო „მოყვარულთა“ ხელთაა, გადაგვარებულთა და ტვინდაკრულთა, ხოლო თუ ჭეშმარიტი ვინმე ხელოვანია სრულიად მივწყებულია..

ჩვენი ხელოვნების უწინდელი სიტყვიერი ნივთიერი ძეგლები დღესაც რომ გზას გვინათებენ იმედია მოწინავე კაცობრიობის თვალში ჩვენ დამოუკიდებელ ყოფნა არყოფნას საკითხსაც სიმძიმეს შემატებს.—დიალ, ასეთი დიადი მნიშვნელობა აქვს: იგი ჩვენსა და მოწინავე კაცობრიობის შორის გზა ხიდათ გაიდება და ნუთუ ამის შემდეგ მაინც უფრო ყურადღებით არ მოვეპყრბით ხელოვნებას!.

კაცობრიობის ველურებამ დააკანონა ადამიანთა ხოცვა ჟლეტა ურთერთის გადასაყლაპავად, ხელოვნებამ უნდა ჩააქროს ის ველურება და გაადამიანების სხივები მრავლად და მძლავრად მოჰფინოს; თუ ერთა შორის ერად ხსენება გვინდა, ამ მუშაობაში ჩვენმა ხელოვნებამაც თვისი წვლილი უნდა შეიტანოს!

**ვალერიან შალიკაშვილი**
მისი ავადმყოფობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სამუსიკო საზოგადოება

არა ერთხელ მიგვიქცევია ქართველი საზოგადოების ყურადღება ჩვენ სამუსიკო სკოლის დიდ მნიშვნელობაზე, მაგრამ აქაც მართლდება სუსტი, უმწეო ადამიანთა პსიხოლოგია: კარგი ხარ, მაგრამ ჯერ ძონძები გაცვია — მოიშორე და მეგობრად გაგიხდები!

ამ საზოგადო გარდაქმნის და შენების დროს ჩვენს სამუსიკო საზოგადოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს — არც მთავრობა და არც საზოგადოება! მესმის და არც მიკვირს, რომ უმაღლესი მთავრობა ჩვენი საზღვრების ფანჯრებს მისდგომია და გაფაციცებით გასცქერის მოუნელებელ ომიანობის კორიანტელის სილუეტებს, მაგრამ მათ ზურგს უკან ხომ არის ხალხი, რომელთაც პირი შინაურ ცხოვრებისკენ უნდა ჰქონდეს მიბრუნებული და მის შენებას უძღვებოდეს?!.

მრავალი სასწავლებლის და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი თავიანთ მოხელებით დაბინავდეს მშვენიერ სასახლეებში, ეს რასაკვირველია, კარგია მაგრამ რად დაავიწყდათ ჩვენი ერთად-ერთი მარგალიტი: სამუსიკო საზოგადოება თავისი სკოლით? თუ დავიწყდათ, ხომ მოაგონეს, სთხოვეს შესაფერისი ბინა, მაშ რად არ მიაქციეს ყურადღება?! ეს ძალაუნებურად გვაფიქრებს, რომ ჩვენი სამუსიკო საზოგადოება არც ისე დიდ რამე მიაჩნიათ... მაშ რა!- თავიდგან დავიწყოთ ისევ იმის მტკიცება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს რიგიანად მოწყობილ სამუსიკო საზოგადოებას?! კმარა,-ჩვენ ეს მეტად მიგვაჩნია! ჯერი მმართველ ორგანოებზეა მიმდგარი: მათი პასუხი,-სიტყვით არა საქმით, დაგვანახვებს, თუ რა ადგილს აკუთვნებენ ჩვენს მდიდარს მუსიკალურ ბუნების განვითარებას, ჩვენი მდიდარ ეროვნულ მუსიკის საკაცობრიო საუნჯედ ქცევას!

თუ გიმნაზიები ყველა უბანში მოიპოვება, სამუსიკო სასწავლებელი ერთი გვაქვს და ეს უკანასკნელი მიგდებული კი არ უნდა იყოს სადმე სლეპცოვის ქუჩაზე, რუსთაველის ქუჩის ზედ შუაზედ უნდა ბრწყინავდეს, რომ ქალაქის ყველა განაპირიდგან შესაძლებელი იყოს ბავშვებისთვის სიარული.

ჩვენი სამუსიკო საზოგადოება ცდილობს სიცოცხლე შეიტანოს ჩვენს განახლებულს ცხოვრებაში, საზოგადოე ის დახმარება და ყურადღება დაიმსახუროს: ჰმართავს სისტემატიურად კონცერტებს, რომლებსაც იმეორებს უფასოდ მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, მაგრამ რა! ოთოთივით სულ სხვის ბუდეში უხდება კვერცხის დადება, ხან კონსერვატორიის დარბაზში, ხან რომელიმე სასწავლებელში! მაგალითად წარსულ კვირას-17 ნოემბერს გამართა უფასო კონცერტი მოწაფეთათვის რეალურ სასწავლებლის დარბაზში; ისეთი მუსიკის მოსმენა საუნჯეა ახალგაზრდობისთვის, მაგრამ აქაც კუდი მოსწყდა მშვენიერ მისწრაფებას: ცნობილ ხელოვან ნიკოლაევის მოსმენა ვერ მოხერხდა, რადგანაც დარბაზში შესაფერისი როიალი არ აღმოჩნდა!

უნებლიედ მოგვაქცია ყურადღება შემდეგ მოვლენას: ყველა დასწრებია როდისმე დილის წარმოდგენებს საარტისტო ან სახაზინო თეატრში; ყველას ალბათ თვალწინ უდგა ამ წარმოდგენებზე ნანახი გულ-შემზარავი სურათი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ყოფა-ქცევისა: აურ-ზაური, თუთუნის გაშმაგებული წევა, ლაზღანდარაობა, უწმაწური სიტყვა-პასუხი...

წარსულ კვირას-კი კონცერტის შემდეგ იგივე ახალგაზრდობა დაიმალა ისეთი წესიერებით, სიჩუმით, ასე გონია, ყველას რაღაც იდუმალი გრძნობა მიჰქონდა თან,-ვინ იტყვის, რა გრძნობა იყო ეს?

ნუ დავიბანთ ხელს და ნუ მივაგდებთ ამ დიად საქმეს ორიოდე კაცს: ეს მოვალეობაა მთავრობისა და მთელი საზოგადოებისა!

ნ. შიუკაშვილი



**არტურ ლეისტი**

გერმანია-საქართველოს ურთიერთ დაახლოვების ერთი თავგადადებული მოღვაწეთაგანი, გამოჩენილი მწერალი, ქართველ მგოსანთა გერმანულად მთარგმნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვანო ბარველი**
სახალხო სახლში რეჟისორად მიწვეული.

## ჩვენით თუ სხვისით?

### ინგლისი და საქართველო.

ინგლისის საფრთხე!—აი რა აკერია დღეს ყველა დამფრთხალს პირზე... განსაკუთრებით ჩოჩქოლობენ ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებლობის მტერნი: ჰე თვალი დაგიდგათ, თავისუფლება მოიპოვეთ და ერთი ინგლისი მოვიდეს, სეირს გიჩვენებთო... მეორენი დასძენენ: ტუ-ტუც-ტუტუც, ხედავთ, როგორ შეგეშალათ ნახტომით!

ტყუილად ზეიმობენ ჩვენი მტრები: საქართველო იარსებებს და ვერც თუ ვინმე შეუცვლის ნირს... საქართველო იყო, არის და იქნება... ჯერ კიდევ უძველესი დროდან ქრის. უწ. გვეწივნენ ბერძენთ გმირები ოქროს ვერძის წარსატაცებლად, გარნა მათმა ბელადმ იაზონმა შეირთო კოლხეთის ტურფა ასული; ბერძნები დაგვიმოყვრდენ, მართალია იაზონმა ბოლოს მედეას უღალატა, მაგრამ რა მოიგო?—თვითონაც დაიღუპა მედეას სასტიკი შურისძიებით... ამის შემდეგ ვინ მოსთვლის რომელი ხალხი არ ეუფლებოდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას. რომაელნი, არაბნი, სელჯუკ-მონგოლნი, სპარსნი, ოსმელნი, ბოლოს რუსნი, მაგრამ ყველანი ხელდაბანილნი მიდიოდნენ, ღაფერფლილი საქართველო-კი, ფენიქსებრ, ნანგრევთაგან ისევ-ისე გაცოცხლდებოდა, ახლის ძალით შეიმოსებოდა... დღესაც ასე იქნება: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!..

ნახტომიც არ შეგვშლია: გერმანიის დახმარებით თუ ხორციელი ზიანი ავიცილეთ, ინგლისის სტუმრობით ჩვენს .დამოუკიდებელ არსებობას კიდევ უფრო განვამტკიცებთ

განაიჩვენი და ინგლილესების ურთიერთობის სიგელი დღეს წერება?!. არა, ეს უფრო ადრეა დაწერილი: სულმნათ ზოთას „ვეფხ. ტყაოსანი", ილიას „განდეგილი", ჩვენი ხალხური ზღაპრები და მათი ინგლისურად მთარგმნელი ბილს მარჯორი ვარდრპი ძმითურ, ინგლისურაადვე გადათარგმნილნი საბა—სულხან ორბელიანის იგავ-არაკები, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ვარ. ჩერქეზიშვილის და სხ., მოღაწეობა რომელთაც ჩვენი ერის სულიერი ავლადიდება ინგლისელთ გააცნეს, აგრედვე უილიამ შექსპირი და მისი უებრო მთარგმნელი ივ. ღაჩაბელი, რომელმაც მოფლიო ინგლისელი ჰენიოსი ისე გადმოიღო, როგორც არც ერთი ერის ენამ. ნუ თუ საქართველო-ინგლისის ეს სულიერი ურთიერთობა უნაყოფოდ ჩაივლის?!

ნურვის ჰგონია...

და თუ ინგლისს ჩვეულებრივ ჰმართავს არა რომელიმე მტარვალი დამპყრობელი, შავ-რუსულად მონათლული ანუ კრუა-სომხურად ჩაბერილი, არამედ დიდის ,ბრიტანეთის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ყველა ს უსტთა მფარველი, მაშინ რის შიში გვაქვს?! ეშინოდეს ვისაც ნედლი შეშა დაუწვავს, ე. ი. უბოროტმოქმედნია, მუხანათურად უცხოვრია, სამშობლო მიწა წყალი მიუტოვებია, დაგლახაკავებულა, გლახაობის ჟინით შეპყრობილი თვით გლახათა საცოდაობით ვაჭრობს და მარად სხვათა დაღუპვის ფიქრშია.

ჩვენ კი თავიდანვე ისეთი გეზი ავიღეთ, რომ ქვეყანა ქვეყანას დაეტაკოს, ჩვენ განზე ვდგევართ: ყველასთან სწორგულა...

ჩვენი დამოუკიდებლობის ხვედრი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გამოიჭედა, ხოლო თუ მამაპაპათა ანდერძის თანახმად, ჩვენის სამშობლოს თავისფლებას დღეს ჩვენ ვერ შევიშვნევთ—ჩვენივე ბრალი იქნება.

ავმაღლდებით ჩვენით, დავინთქმებით ჩვენითვეს.. უნდა ვიარსებოთ ჩვენით და არა სხვისით!..

### უშრომელი მუშები.

საღვთო სჯული გვასწავლის: ოფლითა შენითა სჭამდე ლუკმასა შენსაო, ხოლო პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოებში სწერია: სიმდიდრის შემქმნელი შრომაა, კაპიტალისტების მოგება-კი მუშებია ზედმეტი ნაშრომიო...

ჩვენის ქვეყნის მუშათა დიდს უმეტესობას ეს ორივე მცნება ალბად უკუღმა შეუსმენია, რომ თუმცა კანონით რვა საათის მუშაობა დაიწესა, ამ რვა საათში ორსამ საათს თუ მუშაობს, ესეც დიდი ბეჯაათია; გარდა ამისა: თუმცა იცის, რომ მისგან შექმნილი საქონელი ანუ ნამუშავარი კაპიტალისტების მოსაგებს—კი არა თავის კუთვნილ ხარჯსაც ვერ იღებს, მაინც დრო და დრო მოთხოვნილებას წამოაყენებს ღა ლამის არის ყოველი დარგი წარმოებისა მოხუთოს!..

ვინ შვრება ამ საქმეს?

სწორედ მუშათა ინტერესების დიდი მოღალატე, პროლეტარიატის დამხობის ჩუმი და ბოროტი მოსაქმე.

ამ სიტყვების დამწერი ერთი იმათგანია, რომელიც ჯერ კიდევ ნიკოლოზის შავ წყობილების დროს-ცხრაას ხუთის უწნარეს, მუშათა სამუშაო დღის 8 საათის დაწესებას შემღეროდა, წერით თუ სიტყვით მის განხორციელებას ქადაგებდა, აგრედვე მოითხოვდა მუშათა მდგომარების გაუმჯობესებას, მაგრამ რაც დღესაა, ეს ყოველივე სიმახინჯს ეჭარბება.

რა თქმა უნდა, საარაკო სიძვირემ მუშათა ცხოვრება გაჭირვებაში ჩააყენა და იგინი იძულებული არიან მოითხოვონ ხელფასის მომატება, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ამ მხრით არ შეიძლება,—პირიქით ასეთი ხერხი კიდევ უფრო აძვირებს ცხოვრებას და გაჭირვებას აძლიერებს

ვაჭრობა—მრეწველობით ჩამორჩენილი ქვეყანა (ჩვენში უმეტესად წვრილი ჩარჩობაა) ომიანობამა და საზღვრების ჩაკეტვამ კიდევ უფრო დასცა... ქვეყანა კი ისე მდიდარია, რომ აქ ყოველივეს მოყვანა—დამუშავება შეიძლება, იმდენისაც-კი რომ უცხო ბაზარს მივაწოდოთ. მერე ვინ უნდა დაამუშაოს?—ფულანდარმა კაცმა, კაპიტალისტმა მუშათა დახმარებით.

თუ მუშა ხალხი მუდამ იცუღლუტებს, 8 საათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს არ შეასრულებს, მექარხნეს იმდენს არ გაუკეთებს, რომ დანახარჯს გადაამეტოს, ჩვენში რომელი მრეწველობა აყვავდება?! განა ჩვენ შეგვეძლება ბაზარზე გავიტანოთ რამე! რა თქმა უნდა არა. და ქარხანაც უნდა დაიკეტოს. რადგან სხვა უფრო იაფად შემოზიდავს საქონელს. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მეტად ვინ იზარალებს? ისევ და ისევ მუშა და ამითი ხომ თვით ჩვენივე რესპუბლიკა დაიღუპება.

დღეს, როდესაც საუკეთესო მოწინავე მუშები საქართველოს მტრებს სხვა და სხვა ასპარეზზე იარაღით ებრძვიან; დღეს, როდესაც მრავალი მტერი ფიქრობს ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიურ განადგურებას, განა შინ მომუშავეთ ასე თავზე ხელაღება შეშვენით?!

არა და არა.

დღეს ისეთი ხანაა, რომ ყოველი მუშა, როგორც რესპუბლიკის ერთგული მოქალაქე, დაწესებულ 8 საათის ხანშიი 10-12 საათის სამუშაოს უნდა ასრულებდეს, მოთხოვნილებას იკვეცდეს და საერთო უღელში შეებას.

გავკეთდებით ჩვენით, დავიღუპებით ჩვენითვე!..

## სიბნელის სამეფო

ეს გახლავთ ჩვენი სოფელი — საქართველოს სოფელი

მართალია აქა-იქ სკოლები არსებობს, შიგა დ შიგ სამკითხველოებიც, სათეატრო დარბაზებიც, მაგრამ თითოეული მათგანი ისე ბჟუტავს, ვითარც ზამთრის მეცხვარის ფარეხში ქონდალეული ჭრაქი.

„თავისუფლებამ'' ხომ ბევრ ადგილს ნასწავლობა მეტ ბარგად აღიარა!..

და ეს სწავლა-განათლებით მოციქულნი შიმშილით ნიათ გამოლეულნი აჩრდილებივით მიმოდიან...

ხალხში-კი გაუვალი სიბნელე მეფობს, სადაც მრავალი სამკალს იმკის პროვაკაცია, ვიწრო დემაგოგობა, ათასგვარი უვიცობა, ჩვენის სამშობლოს საწინააღმდეგო ენათა სისინი!..

მართალია, დღეს მილიციონერ-მეეზოვეს, აგრედ წოდებულ შავ მუშას უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მასწავლებელს (თვიურ მასწავლებელს—200-420 მან. რომელსაც ვერც დროზე იღებს); ისიც მართალია რომ ბევრ სოფელში მასწავლებელს საჭმელი პური ფულითაც კი ვერ უშოვნია, გაყვიზინებული სოფლელი ერთ კოკა წყლის ამოტანაში 3 მან. სთხოვს, ხშირად შეშა არა აქვს, იგივე სოფლის მაძღარი მშიერ მასწავლებელს პურის მაგიერ ჰაერით კვებას ურჩევს და ბევრი მილიციანერად ან რემინქტონზე მუშაობას რჩეობს. დიაღ, ყოველივე ეს მართალია, მაგრამ განა სინათლის შეტანა სწორედ ამისთანა ადგილებში არ არის საჭირო?! განა აქ არ უნდა აგიზგიზდეს სწავლა-განათლების ქურა, რომ ხალხის გათოშილი გული გაალხოს?

ერთის მხრით თუ ჩვენი განათლების უწყება მოვალეა ხალხის სწავლა-—განათლებას პრაქტიკულად მოექცეს სკოლები გაამრავლოს და მასწავლებელთა მდგომარეობა გააუმჯობესოს. მეორეს მხრივ თვით ჩვენი ინტელიგენცია ნამდვილი მამულიშვილური დემოკრატია უნდა სოფლისკენ გავიდეს.

განა ინტილიგენცია არა გვყავს?

იმდენი გვყავს, რომ აქ ქალაქში ყოველ თითო ადგილზე ათობლივ ახალგაზდა ერთი მეორეს ეცილება, არა მე მივიღო ალაგი, არა მეო... დიაღ, თბილი ადგილი, გონებრივი ცენტრი—დედაქალაქი განაპირა ადგილებს სჯობია, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყნის საძირკველი-სოფელი არ გამაგრდა, კულტურულად არ ამაღლდა, მაშინ ვერც გონებრივი ცენტრი თბილი ადგილები შეგვრჩება!..

ჩვენი ქვეყნის თავისუფლების განმტკიცებისა და კულტურულ ამაღლების საქმე თხოულობს, რომ მასწავლებლობის ბეგარაც-კი შემოვიღოთ: ყველა ნასწავლმა ახალგაზრდამ [არჩევით ანუ კენჭით] 3—5 წელიწადი მაინც იმსახუროს ჩვენის სოფლის ასამაღლებლად

როგორ? თუკი ჩვენის დამოუკიდებლობის და დემოკრატიის გამარჯვების საქმეს ათასობლივ კაცთა სიცოცხლე შეეწირა ციხე—ციმბირ—კატორგაში, ნუ თუ დღეს სამშობლოს სიყვარული, მხოლოდ ცარიელი სიტყვები უნდა იყოს და მუქთა ხორა ინტელიგენციის საკვები საშუალება?—სოფლისკენ, სოფლისკენ სამუშაოდ ვისაც ჯერ კიდევ გიღვივით გულში ჭეშმარიტი სიყვარული ხალხისა და ჩვენის ქვეყნის მომვალისა?..

ამ მხარეს კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა ქალმა—ქართველმი ქალმა!

მოვიგონოთ ის დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა წარმათობაში იყო ჩაფლული, და ერთმა სუსტმა ქალმა —ნინომ განანათლა... დღეს ჩვენი სამშობლო არა ნაკლებ წარმართია, ცრუმორწმუნე, და სწორედ დღესაა საჭირო ნამდვილი საგანმანათლებლო მოღვაწეობა ყოველი ჭეშმარიტი ქართველი ქალისა...

ძალა ჩვენშივე უნდა ვეძიოთ: უნდა დავწინაურდეთ ჩვენით და არა სხვის იმედით...

## თვითარსების ძალა.

,,თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი ძალა დაკარგულიაო'' ხომ გაგიგონიათ.

ჩვენი ყოველი საქმე მტკიცე საძირკველზე უნდა დაეფუძნოს.

ჩვენში დღეს უპირველესი საზრუნავია სწავლა—განათლების ქურა—უნივერსიტეტი და ხელოვნების ტაძარი—თეატრი.

დღემდე უნივერსიტეტი არ მოგვეპოებოდა, დავირსეთ, თეატრი-კი თუმცა გვქონდა--ძლივს ღონღილობდა

დღეს საჭიროა ერთსაც და მეორესაც საძირკველი გავუმკვიდროთ.

ამ მიზნით იმართება ხუთმილიონიანი ლატარია,

ვისთვის უფროა საჭირო ეს უნივერსიტეტი და თეატრი?

შენთვის, სოფლისა და ქალაქის მუშავ.

მერე შეიძინე თუ არა მათი ბილეთი. იცი თუ არა, მოგებაც რომ არ შეგხვდეს, თვითონ შენი შეტანილი ფული ამ საქმეს მოხმარდება და შენის შვილისშვილისათვისა დიდი მოგება იქნება.

მაშ დაეჩქარე, ძმაო, და რამდენიმე მანათი შენც მიიტანე ამ ბილეთის შესაძენად (ბილეთი ღირს 25 მ. მეხუთედი—5 მ.) რომ ქვეყნის თვალში პირშავად არ გამოჩნდე და ბოლოს არ ინანო: ვაჰ, საერთო საქმეს როგორ გამოვერჩიეო.

კარგად იცოდე, ჩვენს საქმეს ჩვენ თვითონ დუ გავაკეთებთ, სხვები ჩვენი დამხობის მოსურნენი არიან.

დავიქცევით ჩვენით, ავშენდებით ჩვენითვე...

თუ ცხოვრება და სიცოცხლე გვწყურია—თვით არსებობის ძალაც უნდა გამოვიჩინოთ...

**იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძველი და ახალი

,,ის ურჩევნიან მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა.''

**ჩვენი თეატრის გამო-**

თავის თავად ცხადია: ძველი ახლისა წარმომშობია და იგი, ვითა მშობლისთვის, სანატრელია...

ხოლო ჩვენში-კი, ზოგის შეხედულებით, არა თუ სასიხარულოა, არამედ სამწუხაროა.

მახსოვს ჩვენს უბანში ერთი ბებია, მოკეთეთ მოგვხვდებოდა, ჩვენსა და გარს უბნებში ბებიობდა, ყველა „ჩვენს ბებიას" ვეძახდით. ამან აღზარდა ობოლი თავის ძმის შვილი; სასწავლებელი აღარ დაამთავრებინა და გაათხოვა; შემდეგ დაქვრივდა; ამ დროს გაღებული იყო საბებიო ინსტიტუტი, სადაც შევიდა, თუმცა „ჩვენი ბებია'' ამას წინ აღუდგა, და გაათავა სასახელოდ. რაღა თქმაუნდა რუშაობა უნდა დაეწყო, მაგრამ, იმის ნაცელად ბებიას ხელი შეეწყო, სახლიდგან დაითხოვა.

კარგა მახსოვს ერთი შემთხვევა: ჩემს ბიძაშვილის სახლში ამ ახალ გარდა ბებიის აყვანილსა ვნათლავდით, რომ კარებიდგან ზარის ხმა მოგვესმა, გავიხედეთ და კარებში, ქშენით, ლანძღვით და ჯოხის ბრახუნით ძლივს ამობაჯბაჯებს ,,ჩვენი ბებია''.

აი,—თქვე გულმკვდრის შვილებო... მე დაგავიწყდით?!...-დაიწყო ,,ჩვენმა ბებიამ'' თავისებურად, რო კარებში შემოვიღა და მიმართა თავის ძმის შვილს ახალ ბებიას,—როგორ! შენ ჩემს მრევლს მართმევ? აი, არამი იყოს ჩემი ამაგი...

ძალა უხებურად გამახსენდა, როდესაც ჩამოვიდა მოსკოვიდან ჩვენივე საზოგადოების სურვილით გაგზავნილი ვ. შალიკაშვილი და სეზონისთვის ემზადებოდა.

—როგორ, მე იმ ღლაპის რეჟისორობით გამოვიდე სცენაზე?...-გაიძახოდა ერთი ჩვენი დამსახურებულ მსახიობთაგანი.

—რატომ,--შემდეგ წარმოსთქვა იმ პირმა, რომელიც კარგა იცნობდა, არამარტო რუსეთის სცენას, არამედ ევროპიულსაცა,-თუ იგი რასმე ახალს შემძენს...

და, კარგა მოგეხსენებათ: იმ სეზონში კ. შალიკაშვილმა შეძენილ ცოდნით დადგმულს პიესებს სიამოვნეგით ესწრებოდა ჩვენი საზოგადოება.

მაგრამ,..

ჩამოვიდა ალ. წუწუნავა და სახალხო სახლში მის მიერ მხატვრულ დადგმულ პიესებმა მიიზიდეს ხალხი.

ამ დროს: სახალხო სახლში წარმოდგენების დროს უადგილობისა გამო ხალხი უკანა ბრუნდებოდა; ჭიათურაში შალიკაშვილით დადგმული პიესებით ხალხს ატკბობდა.

ხოლო ქაროული თეატრს, სადაც ჩვენი დამსახურებულთა მსახიობნი ხელმძღვანელობდნენ ხალხი ჩამოშორდა და ამ მსახიობთა შორის ნაწილი შალიკაშვილის დაბრუნებას ღაღადებდა და ზოგიერთი:

—სახალხო სახლი ჩვენ გვიშლის... იქ წარმოდგენებს ჩვენ გავმართამთ...

ურჩევდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

ახლა ჩამოვიდა საზღვარ გარეთის სცენის ნამოწაფარი, მან შეადგინა სტუდია, სდგავს წარმოდგენებს და, აი, რა გაისმის:

—სადაური სტუდია.. რა სტუდია...

—ჯაბადარი ამბობს: მე მინდა თეატრი შევქმნა ყველზე მარჯან მარგალიტებიანისათვის...

—სეზონი ჩმენ უნდა გადმოგვეცეს..,

მე-კი, აი, რას ვურჩევ:

,,სტუდია'', ის სტუდია, სადაც უნდა შეისწავლონ ხელოვნება და ეს-კი საჭიროა, არა მარტო ახალგაზრდა და მომავალი მსახიობთათვის, არამედ ზოგიერთა დამსახურებულ მსახიობთათვისაც.

სიცრუესა და ჭორებსაც ნუ აჭყვებით!

ხელს ნუ უშლით!

ვისაც სურს ხელოვნებით დატკბობა, მას პატივსა აცემს და უნდა დაფასება მომავალ მსახიობთა, იხილეთ გ. ჯაბადრის მიერ დადგსული წარმოდგენები და შემდეგ იმისი მოქმედება ისე საჯეთ.

მამა ჩემი კარგა იცნობდა იმ ,,ჩვენბებია''-ს და უბრალო მხედართა ტანსაცმელის მკერავი, აი, რას ეუბნებადა თავის შვილზე, თავისივე შეგირდზე:

—ვენაცვალე ჩემს ბიჭიკოსა! ხელობაში მ.ჯობა და მუშტრებიც წამართვა...

და ამასთანვე ხშირათ იმეორებდა ხოლნე:

—,,ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა''.

**ს. გლახაშვილი.**

## წ ი თ ე ლ
## გ ვ ა რ დ ი ე ლ ე ბ ს

ცეცხლის ალი ცეცხლს მოვტაცეთ,
მკედი—სხივთა ძელებს,
წითელ დროშა შეუკერეთ
წითელ გვარდიელებს.

ცას ქუხილი, ჭექა, გრგვინვა,
ქარიშხალი—ველებს,
თავზე მეხად დავატეხეთ
ქვეყნის დამდუპველებს.

დღეს ზეიმობს გამარჯვებას,
ცეცხლი ჩაანელეს,
ისტორია დაამშვენეს,
ერი ასახელეს!..

ალსდგა მკვდრეთით საქართველო,
ვაშა იმის მცველებს,—
გაუმარჯოს ჩვენსა გმირებს—
წითელ გვარდიელებს!..

**მუშა მიხა დევაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვანო საათაშვილი**

ახალგაზრდა მწერალი, რომლის რედაქტორობითაც გამოვიდა ექიმის თანაშემწეთა და ბებია—ქალთა საზოგადოების ორგანი „ექიმი თანაშემწე.''

## დამსხვრეული სალამური

(ლეგენდა)

როს ღაღი მთის შვილი-მწყემსი დააბინავებდა ცხვარს, კომბალაზე დაყუდებული გასცქეროდა ხოლმე აღმოსავლეთის მხარეს აჩქარებულის გულის ცემით..

და ცოტა ხანს შემდეგ ისიც მოვიდოდა მისი ღვათებრივი თეთრი სახე თვით მთვარესაც კი უკარგავდა ფერს.

მის ლერწამ ტანს, შემკობილს სპეტაკთოლსავით გულ მკერდით, უფრო უმშვენებდა, ნაზ მხრებზე ჩამოშვებული ოქროსფერი კულულები.

მისი ბაგეთ ღილვა, წითელ ლალის ელვას წააგავდა და მისი თვალები მაღალ სამრეკლოს. მოღუღუნე მტრედის თვალებს მოგაგონებდა

მოვიდოდა, ნელის, მაგრამ ხარლალისებრ ცქვიტი რხევით და ახალგაზრდა მწყემსის მოღუშულ სახეს ზექვეყნიური პრწყინვალების შუქი გადაეკვროდა ხოლმე.

და მერე, როს ურიერთის ტრფობით მოიღლებოდნენ, დასხდებოდნენ ერთ ცაცაბ კლდის წვერზე, რომელიც გადმოჰყურებდა დაბლა ბარს...

ამოიღებდა მწყემსი უბიდან ლერწამ—ჩიხის სალამურს, რომელიც ერთად-ერთი განმას ახიერებელი იყო მათ გულთა ღელვისა.

და ხან აატირებდნენ, ხან ააკვნესებდნენ და ჰხატავდნენ მთა-ბარის ამაკვნესებელ ხმაში თვის და ქვეყნის ჭირ-ვარამს...

ამ ხმის გაგონებაზე მთელი მთა ბარი სმენად იქცეოდა...

აღარც ვარდის მგოსანი ბულბული ჰყეფდა ტკბილ ხმაზე—ტყის ფოთოლნი შესწყვეტდნენ შრიალს, მთის ნაკადნი ჩქერას, ტყის ნადირნი ღმუილს და თვით ზეფირიც, ნაზი ზეფირიც გაჩერდებოდა, რათა ამ მომაჯადოებელ ხმისთვის ყური დაეგდო და ამოეკითხნა შიგ მთელი ქვეყნის საიდუმლო..,

წყეულიმც იყოს თქვენი სახელი...

აღმოხდა უკანასკნელად მტრის ტყვეისაგან განგმირულ მწყემსს და დაეცა.

სიკვდილის წინ ერთხელ წაიღო კიდევ მწყემსმა აკანკალებული ხელი თვის ხვირფას სალამურისკენ, მაგრამ იგი დამსხვრეული დაჰხვდა. სალამოს ჟამზე თმა-გაწეწილი ცისია დასტიროდა თვის საყვარელს ტ მწუხრისას ფერიებმა გალობით ჩაუშვეს მწუემსი საფლავში იმ ციცაბ კლდის წვერზე, საიდანაც ცისია და მწყემსი ატკბობდნენ გარემოს სალამურის მომხიბლავხმით.. დამსხვრეული სალამურიც ცისიამ გულში ჩაატანა მწყემსს ..

მას შემდეგ, რა ჩვეულებრივ გამვლელ-გამომლელს, მინდორ-ტყე-ველს აღარ ესმოდათ შავ-კაენიან ფიქრების უკუმყრელი ხმა, ყველა თითქო გლოვობდა...

ხანგამოშვებით ამოიყივლებდა ხოლმე რომელიმე ნადირი გულსაკლავის ხმით, თითქოს მას უნდა აღგავოს„ რაც ქვეყანაზე ბოროტებაა დამყარებული...

ვარდის მგოსანი ბულბულიც აკვნესებდა ვერთ სამგლოვიარო ჰანგებს...

მთის ჩანჩქერიც აზვირთებული ეხვეოქება თვის ნაპირებს...

ნაზი მთის ნიავიც გარდაიქცა ქარტეხილად

და ამსხვრევს მთა ბარს...

და იქ, იმ საფლავზე დღესაც ბევრს შეუნიშნავს ზექვეყნიური შუქით გაპრწყინვებული ცისია, რომელიც იქვე დაჩოქილი, თვისივე ხელით სახე ჩამოღადრული ბოროტ სულს მუქარაზე უპასუხებს:

„შორს ბოროტო სულო! დამარცხებული ხარ.. შენ მხოლოდ სალამური დაამსხვრიე და არა ჰანგები!..

ვ. ჯანიაშვილი.

ეკატერინოდარი 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბედის ტრიალი

შესცურდა ნავი ცხოვრებისა მღელვარე ზღვაში,
აფრა გაშლილი უგზო-უკვლოდ დაექანება,
მესაჭეობა მიმინდვია ჩუქის ბედისთვის,
საითაც სურდეს გადასტყორცნოს აქვსს რული ნება. .
თუნდ შუა ზღვაში შეაცუროს დიდი ფრთონვის დროს,
როს მთის ოდენა ტალღა ერთურთს ეხეთქებოდეს,
შავ ბედიანი ჩემი ნავი ტალღებისაგან
ხან ქვესკნელისკენ, ხან ზეცისკენ იმართებოდეს
თუნდაც ერთ წამში ათას გვარად ფერი მეცვალოს
არა მევნოს რა და არც სული ხორცს გაეყაროს,
თუნდ ცა დაინგრეს მიწა გასკდეს, წარღვნა მოვიდეს,
მაინც ჩემ თავსა ბედს მივანდობ... რაც უნდა მოხდეს!..

**შ. ნავთლუღელი.**

**ნინო ორბელიანისა**
დამსახურებული მწერალიქალი მოხუცებული ამ ჟამად მძიმე ავადმყოფი უკიდურეს გაჭირვებაშია. (სურათი გადაღებულია ახალგაზდობაში)

## დარიალის ხეობაში

არწივთა ომი გამართეს, სვავებთან შეჰკრეს პირობა,
კალმით არ აიწერება მათი ბრძოლა და გმირობა!
ჰხოცეს და ჰხოცეს უწყალოდ ყორანი დაუნდობელი,
არწივთა ბინის მძარცველი და ვერაგულად მპყრობელი.
მოდის და მოდის ჩრდილოდან ყორანი რიცხვით მრავალი,
იმავ სიკვდილით თავდება მათიც თავგადასავალი.
ყორანთ სისხლისა ღვარები არაგვსა უერთდებიან,
ყორანთ ბუმბულის ნაპენტსა ნიავნი ერეკებიან.
გმინავენ არწივთ ბრჭყალებში ყორნები შავი—დღისანი,
ყორანთა იმის გოდება და მწარე ამოკვნესანი.

ჰე დარიალის ხეობავ, არაგვის ტურფა პირებო,
მრავალ წლოვანი სევდისგან ცრემლებით ანატირებო,
თავს დაგჩარიან სხივები—ზენით ძირს ჩამოშვებულნი;
თავს ლაგყივიან არწივნი, ბრძოლაში გამარჯვებულნი.
მთანი, მინდორნი ხაროზენ, ყვავილნი ველზე კრთიანო
შენ, რაღას სდუმხარ, მითხარი, ზვირთებით ლაზათიანო?!
არ გესმის ფრინველთ გალობა, ზეიმი მრავალ—ხმოვანი?
ვერ ჰხედავ მუხაც მღიმარებს ტანჯული – მრავალ წლოვანი?.
მაშ რაღას სდუმხარ, ხეობავ? სთქვი რაზედ მოგიწყენია,
თავისუფლების სხივები ნუ თუ ვერ ჩამოგწვდენია?!
აზლვავდი, ფრთანი შეისხი ნისლები უკუ-ჰყარეო,
წითელი დროშის სხივები შენს მკერდზეც დაამყარეო!

**მიქელ დიანელი**



**შალვა დადიანი**
კავშირის დასის რეჟისორი.

## აკროსტიხი

**ს**წორ უფლება მოპოვებულს ვინ გაჰბედავს რომ შეეხოს
**ა**დარ ეუთ რაც აწამეს, ამას იქით რომ დაამხოს.
**ქ**ართველის გულში მუდამ არის თანაგრძნობა, სიყვარული,
**ა**რვის ის არ ებრალება, შეუმოკლოს ტანჯვა-წვლული.
**რ**ისთვისაც ის იბრძოდა, მოიპოვა კუთნეული,
**თ**ითქმის ეხლა ეჯავრებათ, რომ წამოდგა ჯვარზე-ცმული,
**ვ**ისრა უნდა, დღეის შემდეგ საქართველომ რომ იხაროს,
**ე**რი თვისი საუგავოს, სხვებთან მაინც ინეტაროს...
**ლ**ოდნით მიზანს მიახწია, ზეწამოდგა, გაიხარა!
**ო**დონდაც რომ იარსებებს, არ მოკვდება, არა, არა!..

ჯარისკაცი ივ. ლობჟანიძე

**ვალ. გოგუაძე**
ჯავშნოსან მატარებელთა უფროსი.

# კაენის ცოდვა

ჩვენს ნანატრ თავისუფლებას საფრთხე მოევლინა.

მოევლინა ავაზაკ და მუდამ მოუსვენარ კრუასოშენთა ცრუ ბელადებისაგან.

პირველად ამით დაექცევს ჩვენის ჯარის კაცთა სისხლი... ჩაიდინეს კაენის ცოდვა.

საქართველო დიდიხანია რაც ამ უბედურ ხალხს ძმობისა და ერთობის კალთას აფარებდა, თვითონ ლუკმას იკლებდა—მას უყოფდა!...

და ეს ვერ დაინახეს... ვერ დაინახეს და ჩვენი სისხლი დაღვარეს ჩვენის მამაპაპით მორწყულ, ჩვენი წინაპრების ძვლებით მოკირწყლულ მთა—ველებში, ჩვენთა მამაპათა სალოცავების მიდამოებში!.

მძიმეა ასეთ წუთს ხმლის ამოღება, ხმლის ამოღება ორი ათას წელზე მეტს ხანს ძმურ მეზობლურად მცხოვრებ ერთა შორის, მაგრამ კაენმა უკვე შეიმაღლა ხელი ძმაზე...

და წყეულიმც იყოს იგი!.. დაწყევლილიმც იქნება უკუნითი უკუნისამდე და ქვეყნად იწანწალებს მიუსაფარი!..

ჩვენ-კი, ვისაც ჩვენი სამშობლო გვიყვარს, ვისაც დემოკრატიის მისწრაფებანი ძვალრბილში გაგვჯდომია, ვისაც სოციალიზმის იდეალი გულს გვიჩუქებს, ვისაც ხალხთა თავისუფლება და ერთობა გვწამს, ბრძოლის ველზე, ბრძოლის ველზე ჩვენის სამშობლოს დასაცავად, ვერაგ მუხანათ მტრისაგან!

თავდასაცავად მოუსვენარ და შურით აღსავსე კაენისაგან!..

მამულიშვილნო, მოქალაქენო, ძმანო და მეგობარნო, სამშობლო გვიწვევს!..

ჩვენთან, ჩვენთან მამულის დახაცავად ვინც საქართველოს შვილნი ხართ

მიწის მშრომელო და დაზგის მუშავ, დროით გამოდი ამ საფრთხის ასაცდენად, თორემ საშვილიშვილოდ მონობის უღელი დაგედგმის!.. დაგვაი მაშინ თქვენ, თუ თავისუფლება დავკარგეთ..

დედა შეერთოს ცოლად ვინცამ განსაცდელის ჟამს მუხანათ მტერს ზურგი უჩვენოს.

სანაინის მიდამოებში ქართველი ახალგაზდა მხედრობის მუხანათურად დაღვრილი სისხლი სამაგიეროს ითხოვს. სამშობლოს საზღვარზე მოვალეობის აღსრულების დროს განგმირულთა აჩრდილები მიშველებას გვთხოვენ! .

გაუმარჯოს საქართველოს!

**იოსებ იმედაშვილი.**

**კარლო ჩხეიძე.**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

---

### „ვარდიმლები“

ია გაზაფხულს უსწრებს, ვარდი—ზაფხულს.

ორივე სიცოცხლის განახლებისა და იმედების გამარჯვების ნიშანია.

ჩვენმა ხალხმა თვისი იდუმალი რწმენით სწორედ ამ ორი მცენარის სახელით მონათლა ჩვენის თავისუფლების ის დარაჯნი, რომელნიც ერთი წელიწადია, რაც უმაღლესი რწმენით განსაკუთრებული გაფთრებით ებძვიან ჩვენის სამშობლოის, რევოლიუციისა და წესიერების მტრებს.

ესენი გახლავან გვარდიელები ანუ ვარდიელები, როგორც შესანიშ. უწოდა ჩვენმა ხალხმა.

ეს გვარდიელები იყვნენ, რომ ჩვენის სამშობლოს თავისუფლების გაზაფხულს იებად მოევლინენ, მის ზაფხულს თავისი სისხლით ვარდებად შემოემწკრივნენ.

განვლილი ერთი წელიწადი ჩვენის ქვეყნის საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ნამდვილი ქურა იყო, ცეცხლის კოცონი, რომელშიაც ჩვენი გვარდიელები თავგანწირვით ტრიალებდენ და თავისი სისხლით რწყავდენ ჩვენის მომავლის ჯეჯილს, რომ რიგიანი მოსავალი მიგვეღო..,

და მათმა განწირულმა სულის კვეთებამ არც უქმოდ ჩაიარა ..

მათი ნაკვალევი ძლიერია და წარუხოცელი!

მომავალი ისტორიკოსი ოქროს ასოებით აღნიშნავს იმ მუშა გლეხთა სახელებს, რომელთაც ეს რაზმები შეადგინეს და ჩვენს ქვეყანას ფხიზელ დარაჯად აღეყუდნენ ..

მუდამ ვარდ-იელებად დარჩებიან ჩვენი იავარდის გმირები, ჩვენი გვარდიელები!..

სალამი, ჩვენი გულითადი სალამი ჩვენს არწივებს!..

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამიკიტნოში

(იმერული სცენა სამიკიტნოში)

მომქმედნი პირნი:

1, იაგორა—იმერელი მიკიტანი აცვია—წინგახსნილი ჭუჭყიანი ახალუხი, შიშველ ფეხებზე ძველი, უკან ჩაჭყლეტილი წულები, თავი ჭრელ პირსახოცით აქვს წაკრული.

2, მუშტარი — სუფთად ჩაცმული ინტელიგენტი კაცი.

3, ბიჭი—წვრილიანი და ლენჩი.

4, უცნობი — №.

რეკვიზიტი:

მაგიდა, ტაბურეტა, სკამები, ძველი ქვეშსაგები, ჭუჭყიანი წინსაფარი, ბოთლები, საინები, ჭიქები მწვანე.

(სცენა წარმოადგენს ბუნებიან ოთახს დახლში ზის იაგორა მაგიდაზე წევს ბიჭი).

იაგორა (დიდინებს) ნოვრასიის პარახოდი ადესაში ბრუნდება, ჩემი მოგებული ფული „ბარიშნებსა" უნდება.

ბიჭი (გაირტყამს ცხვირზე ხელს და წამოხტება) სა მიძროობი მე შენი... რავი ძაღლებივით იკბინებიან ე დედა მკვდრები.

(შემოდის მუშტარი)

მუშტარი აბა, ერთი სადილი მაჭამე მეგობარო.

იაგ. მობრძანდი ბატონო, მობრძანდი, (ბიჭს წიხლს წაჰკრავს და წურბმით). ეეთრიე ბიჭო შე მამა . . . , გაბუნულხარ ურიას მკვდარსავით... გეინძერი ჰო, გეინძერი, მე შენი... გაათრიე ე ქვეშაგები. . აგერ დაბრძანდი ბატონო აგერ, მალე ბიჭო თქვა... ჭლექი მაქ ბატონო მე მაგისგან გაჩენილი ჭლექი, რავაც კი გამინადარებს, ასე უნდა გეილეშოს ე ყორფელ გაცერებული. (დუდგამს სკამს) ა ბატონო აგერ დაბრძანდი და ყველფერს მოგართმევ...

მუშტ. ჰუჰ! ეს ჭუჭყიანია

იაგ. ჭუჭყიანია და გავწმენდ ბატონო, აბა გაწმინდე ბიჭო, არ გესმის შენ... ამაზე ჭამს ბატონო ყველაი, დაბრძანდი ბატონო, დაბრძანდი.

მუშტ. რა გაქვს საჭმელი?

იაგ. რასაც ინებებ ბატონო, ხარჩო, სუპი, სოუჩი, მწვადი, ბარაშკა, სულგუნი, შეწნწვარი წიწილები და კაი ღვინო.

მუშტ. ლიმონათი?

იაგ. კი ბატონო აბა!

მუშტ აბა მომიტანე ერთი სოუჩი, სულგუნი შემიწვი, ლიმონათი და ქათამი, პური ხომ გაქვს?

იაგ. იმე შენმა მტერმა თქვა... ახლავე იქნება ყველაფერი ამ ნიმუტში.

(მოუტანს მწვანილს, პურს და დამოზილოს)

№ იაგორა, იაგორა ერთი აქით გამოდი

იაგ. უჰ! სად იყავი კაცო ამდენ ხანს. (გაკვდის. დიდი პაუზა, მუშტარი წუხს)

მუშტ. (უეცრიდით) მაჭამე კაცო თუ მაჭმევრამეს

იაგ. (შემოიხედავს) ამ ნიმუტში, ბატონო, შენ სულს დევენაცვლე ამ ნიმუტში ჩემი ცოლის ძმაა... (კვდის. დიდი პაუზა)

მუშტ. (უეცრიდით) კაცო მაჭამე რამე.

იაგ. (შემოიხედავს) ახლავე ბატონო, ახლავე, რა შეიქნა ერთი ნიმუტი (კვდის. დიდი პაუზა.)

მუშტ. თფუი დასწყევლოს ღმერთმა..

(იაგორა შემოდის. პაუზა)

იაგ. უკაცრავათა ვარ ბატონო, ჩემი ცოლიძმა იყო; ჩემი ცოლიძმა, ის ესაა ახლა ჩამევიდა სოფლიდგან, მეზობელი მომკდომია, კაი მეზობელი, ივანე სხირტლაძე—იქნება თქვენც ქე გაგიგონიათ, მართლა კაი ყაძახი იყო ცხონებული, მართლა. (მუშტარი წუხს) შეძლებული, წარმოსადეგი, პირდაპირი, პუ მარილიანი კაცი, პატიოსანი, ჭირსა და ლხინში გამოსადეგი.. იმის ეზო-გარემო რომ გენახა და იმის ვენახში გეგევლო ასე იტყოდი ახლა დევიბადეო, თვალს ვერ მოაშორებდი თვალს, წამოსვლა დეგეზარებოდა, წამოსვლა თვარა, მე შენ გეტყვი მასპინძელი მოგიწყინდებოდა... ქალიშვილები ყავდა, იმისთანა ქალიშვილები რომ...

მუშტ. ე კაცო, ნუ მომკალი შიმშილით, მაჭამე რამე.

იაგ. უჰ! მომკალი, ვინცხამ სოუჩი არ მომატანია დეეექცა იმას ოჯახი, იმისთანა ამბავი მომიტანა რომე ტვინი გადამიბრუნა... უკაცრავათა ვარ, ბატონო, უკაცრავათ, რომ შენი შესაფერისათ ვერ დაგხვდი. მარა მერე რომ მოხვალ კარგა დაგხვდები... იმე შენისთანა განათლებულმა კაცმა—წინ და წინ უნდა შემატყობინოს, ახლა შენ ხომ სხვასავით ვერ გაგისტუმრებ...

მუშტ. მადლობელი ვარ, მადლობელი, მაგრამ მაჭამე რამე...

იაგ. იმე, მოგიკვდეს ჩემი თავი. ახლავე ბატონო ახლავე. (მოტრიალდება. მოხახავს საინს დაუფურთხებს ჩუმათ და წმენდს. შემდეგ შემოაქვს სოუჩი) ინებეთ ბატონო, ინებეთ კაი ნახილავი კია, კაი.

მუშ. (დახედავს) კაცო, ამაში ბუზია ჩამხჩვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაგ. ბუზი?! მერე რა უჭირს ბატონო, მარა მაინც რამ ჩაახრჩო ე რჯულძაღლი, სეითაა, სეით.

მუშტ. სეითაა, სეით, სეითაა და აგერ.

იაგ. (ჩაჭკრავს ხელს და ამოიღებს) გაგიწყდეს ბალანი.

მუშტ. (წამოვარდება) ხომ არ გაგიჟდი კაცო, რას შვრები, თფუი... (წამოავლებს ქუდს ხელს და წასვლას აპირებს).

იაგ. რაშია ბატონო საქმე, მეითმინე სად მიბრძანდები, რავა გეკადრება.

მუშტ. რაღა მოგითმინო, მაგის ჭამა როგორ შემიძლია! (მიდის)

იაგ. (კალთაზე ეცემა) რას ქვია არ შემიძლია, იმე, აბა ჩვენ მასხრები ვყოფილვართ აქანე.

მუშტ. გამიშვი კაცო ხელი, რას მიქიჩავე?, არ მინდა ახლა ძალაზე ხარ თუ!..

იაგ. ფული ჩამოდი, ფული, პიი, პეი მაგისთანა ნომრები სხვას გაუკეთე.

მუშტ. რა ფული კაცო რომ არაფერი მიჭამია.

იაგ. ამ ჩემს ფეხებს ი უ არ გიჭამია: მე ხომ მოგიტანე და.

მუშტ. ხელი გამიშვი კაცო, არ გამიხიო.

იაგ. ფული ჩამოდი, ფული ვინცხა ხარ (ეცემა ყელში) წევ-და ის დრო, ფული მალე ფული

მუშტ. გამიშვი თორემ მილიციონერს დაუძახებ,

იაგ. დოუძახებ თვარა ახლავე მოვარდება ხახვი არ დამაჭრა ყურებზე. ბევრს ნუ ლაპარაკობ მე შენ გეუბნები ფული დაყაჭე, ფული

მუშტ. (დამშვიდებული) რამდენია კაცო, გამიშვი და მოგცემ.

იაგ. (გაუშვებს) რამდენია ბიჭო ნახარჯი... სამი მანეთი სოუზი, სამი პური, ორი ლიმონათი, ერთი წვანილი, ერთი გოჭი. .

მუშტ. რა გოჭი?

იაგ. რა გოჭი და გოჭი.

მუშტ. გოჭი სად იყო...

იაგ გოჭი არ იყო ბიჭო, ჰო, თვარ იყო არ იქნიბოდა... მაინც სულ თუმანია.

მუშტ. (იხდის)

იაგ. აი ასე,

მუშტ. (გულმოსული) მხეცი! (ჩქარა გადის)

იაგ. (ბრახწს დაახლის), (ბიჭს) შე ყურუმსალო, ვერ დ ხედავ რა მოგაქვს, ყოველთვის რაცხა უნდა ამიტეხო

ბიჭი რა ჩემი ბრალია.

იაგ. აბა ვისი ბრალია, (წააქცევს და წიხლებს ურტყამს) ვისი ბრალია?

ფ ა რ დ ა

ცვარ-ნამი

## პროვინციის მუშაკი

**პლატონ სართანია**
(ორმოცის შესრულების გამო)

24 ოქტომბერს 1918 წ. ქ. ზუგდიდის დრამატიულმა წრემ დაჰკარგა საუკეთესო წევრი პ. სართანია. ჩუმი მუშაკი, ენერგიული, დაუღალავი ხალხის შვილი, დემოკრატიის წრიდან გამოსული, ის თავის სიცოცხლეს მის საკეთილდღეოთ სწირავდა, მაგრამ სწირავდა ხელოვნების სახით. „ხალხის სამსახური ხელოვნებაში!" აი მისი ლოზუნგი, მიზანი სიცოცხლისა და ამ მიზანს უკანასკნელ წუთამდე ემსახურებოდა· პირველ გამოსვლიდან საზოგად ასპარეზზე მან დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა. პირველ დღიდან დრამატიულ წრეში შემოსვლისა მან მოიპოვა ამხანაგების სიყვარული. ყოველთვის მხიარული, ხალისიანი ის სხვებსაც ახალისებდა, სხვებსაც აცოცხლებდა. მაგრამ მორცხვი, ჩუმი მუშაკი ის პირველობას სხვებს უთმობდა, თითონ ჩრდილში რჩებოდა.

პლატონის ხანგრძლივი შრომით ბევრი რამ გაკეთდა ზუგდიდის სცენისთვის. მისი გაცნობით ბევრი ტკბილი წუთი განიცადეს მისმა ამხანაგებმა. უფრო მეტსაც გააკეთებდა, მისი ამხანაგები უფრო მეტსაც მოელოდნენ, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ბრჭყალებში ჩაიგდო ჯერ ახალგაზდა პლატონი და სამუდამოდ მოაშორა საყვარელ საქმეს, გულითად მეგობრებს, პლატონი მოკვდა!

ამხანაგებმა დაჰკარგეს საუკეთესო ამხანაგი, სცენამ და ხელოვნებამ გულწრფელი თაყვანისმცემელი. ის მოკვდა. მაგრამ ზუგდიდის სცენას მისი შრომის კვალი დააჩნდება! და ამხანაგების გულში მისი ხსოვნა სამუდამოდ აღიბეჭდება.

**ლ. ჯალაღონია**

## მ ხ დ ა ლ ი

ვინც გმირია ომშია, ვინც მხდალია გომშია,
ქვეყანაში პირშავი შერცხვენილი ტომჰია.

გმირი არის გულადი, ქვა და რკინა ფოლადი,
მისი ამხანაგია თოფი, ხმალი, ნაბადი,

მხდალი თავის თავს ბრალობს ღმერთს ევედრება, გალობს,
დარბის, სამალავს ეძებს, შიშით თრთის კანკალობს.

გმირს ომი ემარჯვება, ის გულით გაირჯება,
მას წინ ორი გზა უდევს: სიკვდილი გამარჯვება,

მხდალსა ცეცხლი ედება, როს ომი ებედება,
ჯერ ომში არ მისული თოფისა ხმითა კვდება.

გმირს ის ფიქრი აწვალებს, რაც სამშობლო ავალებს,
მის დაცვაში მოკვდება, თავს იმას ანაცვალებს.

მხდალს აქვს დაბალი სული, ომის შიშით სნეული,
როგორც ქორის ხმისაგან ხოხობს უსქდება გული.

ჰაზირ აქებს იმ პირებს, ვინც გაუძლებს დიდ ჭირებს,
მხდალნი საჭმელად ვირებს და გამარჯვება გმირებს...

**ჰაზირა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობა
## და თავისუფალი ხელოვნება.

ქრისტეშობისთვის 1 ვიდღესასწაულეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის თავი. თქმა არ უნდა, ყველა ნამდვილ ქართველის გული, რომელსაც თავის ერი უყვარს და აფასებს თავისუფლებას, სავსეა სიხარულის გრძნობით და მის ბედნიერებას არ აქვს საზღვარი. ჩვენ არ შევეხებით მთავრობის მოქმედებას, რადგან ეს სხვა და სხვა პარტიების საქმეა ჩვენ მხოლოდ ანგარიშს გაუწევთ ხელოვნებას, რომელიც არის ტიპიური გამომხატველი ერის სულისკვეთებისა და დამახასიეთებელი მის მაჯის ცემის. ჩვენ გვინდა შევიტყოთ: რა გზას დაადგა რაში გამოიხატა ჩვენი ხელოვ.

საჭიროა ჩავიბაროთ ანგარიში რა გაკეთდა ამ ნახევარ წლის განმავლობაში ხელოვნების დარგში.

უპირველესად შევეკითხებით „ხელოვნების“ კამისიას (სექციას) რაში გამოიხატება მისი მოღვაწეობა?

სახელმწიფო თეატრი:—მთელი ზაფხული თითქმის „ტანჰეიზერის ოპერის მზადებას მოუნდა. დღემდის ძველ გზას ადგია: ტრავიატა, რიგოლეტო და ჩვეულებრივი ოპერის რეპერტუარით სულთქავს სახელმწიფო თეატრი. ერთ ანტრეპრენიორის ხელიდან გადადის მეორეს ხელში და უფრო კომერციული ხასიათი აქვს, ვიდრე ეროვნულ ხელოვნების ტაძარს წარმოადგენდეს! ზაფხულშივე დიდის სურვილით ჩაიბარეს პარტიტურები ქართულ ოპერებისა, ბევრი იმედები, კარგი გრძნობიერი პირობები თეატრის აღორძინების შესახებ გვიქადაგეს, მაგრამ ქართულ ოპერას მაინც ვერ ვეღირსეთ.

რითი და როგორ აღნიშნა ნახევარ წლის დამოუკიდებლობის დღე ჩვენმა სახელმწიფო თეატრმა.

დილით „პაიაცი“ და „მალოროსიული ქორწილი“ საღამოთი — „დუბროვსკი.“

ნუ თუ ამ საბედნიერო, განსაკუთრებული დღისათვის სახელმწიფო თეატრს არ მოეპოვებოდა მასალა აღენიშნა ქართული ბრწყინვალე უქმე.

თუ ქართული ოპერა ვერ მოახერხა, ქართული წარმოდგენა ვერ გამართა განა საჭირო არ იყო დაედგა ცოცხალი სურათი ქართულ ცხოვრებიდან? მაშ რაში გამოიხატება ერის სიყვარული და რით გვინდა ის სახელმწიფო თეატრი, რომელიც არ ემსახურება სახელმწიფო სულისკვეთებას. სახელმწიფო თეატრი სარკე უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკისა და არა რუსულ—იტალიურ ერისა, რომელთაც უჩვენოთაც საუკეთესო თეატრები აქვთ.

ქართული სამუსიკო საზოგადოება:—ახალი გამგეობა ენერგიულად და სიყვარულით შეუდგა ჩვენის მუსიკის აღორძინებას. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქარველობაში. ეს ერთად—ერთი „საზოგადოება“ არესებობს ჩვენში, რომელიც უნდა ემსახუროს და სათავეში ჩაუდგეს ჩვენს მუსიკალურ ცხოვრება—განვითარებას. დღემდის არა გვაქვს ეროვნული ჰიმნი. მიიღო „საზოგადოებამ“ რაიმე საშუალება თუ არა? საერთოდ საყურადღებოა გამგეობამ გვაცნობოს, თუ რა გააკეთა ამ მოკლე ხანში და რა პროგრამით ეგებება ახალ წელს? დღემდის—კი ქართულ სამუსიკო საზოგადოებას ეროვნულ მუსიკის დარგში არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგავს.

რა ხდება ჯარში? იგივე ძველებური მარშები: რუსული სიმღერები მხოლოდ ქართულ სიტყვებით. სრული დამახინჯება და სრული დილეტანტიზმი ქართულ მუსიკისა. მაშ რაში გამოიხატება პატრიოტობა?

სამხედრო კავშირი:—გახურებულ ანარქიის დროს, როდესაც ჩვენი ყოფნის ბედი სასწორზედ იყო დაყენებული, ოსმალეთის ჯარმა ბათუმი ხელში ჩაიგდო—საქართველოს ჩაყლაპვას უქადდიდა, სწორეთ ამ დროს სამხედრო კავშირი ხელოვნების დროშას აფრიალებდა, ერთად—ერთი პიონერი იყო ეროვნულ მუსიკის აღორძინებისა. სამხედრო კავშირის მომღერალთა გუნდმა პირველმა გამოიტანა საჯაროთ ყველა ქართველ მუსიკოსების თხზულებები განურჩევლად მათ მიმართულებისა ან ერთი—ერთმანეთის განწყობილებასა. ამ კონცერტებმა მიიპყრო ყველას ყურადღება თავის ფართო პროგრამით ეროვნულ მუსიკის აღორძინებით და ყველა ქართველ მუსიკოსთა გაერთიანებით. ჩვენმა მთავრობამ არა ერთხელ მოასმინა გერმანეთის და ოსმალეთის წარმომადგენლებს ჩვენი ორიგინალური და ტიპიური ხალხური მუსიკა სამხედრო კავშირის მომღერალთა გუნდის წყალობით.

სამხედრო კავშირის მეთაურობით დაიწერა ათი ახალი სიმღერა. პირველმა „ჰიმნთა“ შეჯიბრებამ დიდი საზოგადოება მოიზიდა და ამისთანა მაგალითი სასურველია ხშირად გაიმართოს ჩვენის მუსიკოსთა წასახალისებლად და რეპერტუარის გასაახლებლად.

ქართველ მუსიკოს—მომღერალთა კავშირი. ეს კავშირი თუმცა მცირე ხნისა იყო, მაინც მოახერხა და დადგა ქართული ორგინალური ოპერა „ქრისტინე“ (ხუთჯერ), რომლითაც აafრიალა ქართული ეროვნული ოპერის დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შემდეგ ამ კავშირმა თავისი მოქმედება შეაჩერა, თითქო ადგილი დაუთმო ქართულ სამუსიკო საზოგადოებასო.

ქართული დრამატიული საზოგადოება:— რა მოგვცა ამ ხანში ქართულმა თეატრმა?

არ ვიცით როგორ ანგარიშს ჩაგვაბარებენ ზემო აღნიშნულნი დაწესებულებები? ვინ უნდა განაგდეს საერთოდ ხელოვნ ბის საქმე— ვითარებას? ვის შეეხება ყველა ეს კითხვა? მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რეაულრად სამხედრო კავშირს ეკუთვნის პირველობა და ბულწრფელი მადლობა ეროვნულ მუსიკის აღორძინების ასპარეზზედ.

ხელოვნების ყოველს კითხვა უნდა განაგებდეს „ხელოვნების“ კომისია და ამისთვის მან უნდა მოახდინოს ერთნაირი კონცენტრაცია ყველა ძალების და გვაცნობოს საქმის მსვლელობა ერის კულტურულსულის განვითარებისა.

**მიუდგომელი**

## დროთა სივრცეში!

ჩე ადგინთები ჩირადდანად დროთა სივრცეში,
დამის სიჩუმეს ხმაურობით დაგვმუქრები:
მეფე ვიქნები ჩემს სამშობლოს და ჩემს მხარეში,
მეფე რომელსაც არცა ეშა ჭეავს და არც ფარეში,
და ისე მეფობს დრო და ყამით დანაჩუქრები!..

ჩემში მზე ბრწყინავს, უკვდავების, და მარადობის!
ჩემ თვალთა სივრცეს ვერ შეაკრთობს დამის ჩრდილები
მე რაინდი ვარ მარტობის და უბედობის.
ჩემში ჭანგია გაბნეული ზეციურ ტრფობის,
თავად დმერთი ვარ და არავის ვეშორჩილები.

ცეცხლისა ეტლი წინ მიმიძღვის და შიმაჩქარებს.
ყამია სადავის ხელთ მიჭირავს ოქროს ეყენები,
ეულამ ვიქმნები. სიკვდილი თრთუბს ვერ მომაკარებს.
ვერც ცბიერება თვის საწამლავს ვერ შემაბარებს.
მეფე ვარ სივრცის და მბრძანებლად მას ვეველინები.

## მე ჩემი გზა მაქვს!

მე ჩემი გზა მაქვს და არავის არა აქვს ნება.
რომ ამიკრძალოს არჩეული გზით სიარული;
მე ჩემი გზა მაქვს და ნურავის გაუკვირდება,
თუ დროთა სვლაში მე მიხილონ დამარცხებული...

რა ვუყოთ მერე, თუ ბირ-შავი ბედი მიმტეუნებს.
და თუ ამ გზაზე მე უდროოდ დამადამდება,
ასეთ ჩემს ქცევას მე ვერავინ ვერ გამიმტეუნებს:
შავს წამებაში გული ჩემი თვით დაამდება...

მე ეიგული ობლად, ჯიგული მწარად, გაუკითხავად,
სან მ სიკვდილი ჩემ სავალ გზას არ შეამოკლებს.
მე ვიგული ქვეყნად ბოროტების დასათურგნავად,
სანამ მზე სხივებს ტრფობის სხივებს მეარ მომაკლებს

**ნ. ზენობნიელი.**

# მეორედ მოსვლა

ჩემი სამშობლო

არ მოიპოვება ქვეყნად კრთხე, ადამიანი, პირუტყვი, ისე ვეჯავრებოდე, როგორც ჩემს სამშობლოს; მაგრამ არ მოძებნება ქვყნად კუთხე, ადამიანი: პირუტყვი ისე მიყვარდეს, როგორც ჩემი სამშობლო. არა მოიპოვებოდა ქეეყანა, სადაც არ ვიშოვიდე საზრდოს, სადაც არა ვპოვებდე სიამეს, ტკბილეულს; მაგრამ არა ეოიპოვება ქვეყნად კრთხე, სადაც შაქარი ისე ტკბილი იყოს, როგორც სამშობლოში საწამლავი

მერე სად არის ჩემი სამშობლო?.

ჩემი სამშობლო იქარის, სადაც დავიბადე, სადაც ბავშვობა გავატარე, სადაც ფეხშველა დავრბოდი ბუჩქებში, სადაც ვიტანჯე, სადაც ერთი წუთიც კი ბედნიერი არა ვყოფილვარ...

ჩემი სამშობლოა ის!.

ის მე ძალიან მიყვარს!..

რად მიყვარს ჩემი სამშობლო?

ჩემი სამშობლო იმისთვის მიყვარს, რომ იქ დავიბადე, იქ დავრბოდი ფეხშიშველა ბუჩქებში, რომ იქ ვტიროდი უბედობას, რომ იქ ვიტანჯებოდი, რომ იქ ერთი წუთიც ბედნიერი არა ვყოფილვარ ამისთვის მიყვარს ჩემი სამშობლო. ერთ წუთსაც არ გავცვლი ჩემს სამშობლოს სხვის სამშობლოში.

ჩემი ერი პატარა ერია, ჩემი ერი სხვა ერების დაბალი ღობეა, ყველას შეუძლიან ჩემ ერს ფეხი წამოჰკრას, ყველას შეუძლიან დასცინოს ჩემს ერს; ჩემი სამშობლო ყველაზე საძაგელი, უშნო, ულაზათო, ბინძური, უსინდისო, ბეჩავი და აუტანელია, მაგრამ მე მიყვარს, ჩემი ერი. ჩემი სამშობლო, მიყვარს ჩემი ხალხი და ერთ წუთსაც არ ვინატრებდი სხვა ერის შვილად ყოფნას!

ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ერის შვილად გავჩნდი.

მე მიყვარს ჩემი ერი, ჩემი სამშობლო.

ჩემი სამშობლო კი ის არის, სადაც დავიბადე, ავიზარდე და ჩემი ერიც ის ერია, რომელიც მოსახლეობს ჩემ სამშობლოს მიწ-ზყალზე.

ჩემი სამშობლო და ჩემიერი თუ მიყვარს, იქ ყოფნაც უნდა მიყვარდეს, და, თუ იქ არა ვარ, იქითკენ უნდა მიმიხაროდეს.

იესომაც ხომ მითხრა' სამშობლოში წადიო.

მაგრამ ვიდრე სამშობლოში დაბრუნების სიხარულს ავწერდე, არ შეიძლება, გამოვტოვო თუ როგორ სიზმრებსა ვხედავდი და რასა ვფიქრობდი.

'რადგანაც უცხოეთში ყოფნა იესოს ქვეყნად მეორედ მოსვლამდე მომიხდა, ან მეორენაირად რომა ვსთქვათ,—რევოლუციამდე, ამისათვის ჯერ გავიცნოთ როგორი იყო ჩემი ცხოვრება რევოლუციამდე.

**ი. მჭედლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ მსახიობთა

### საპროფესიო კავშირის წევრთა საგანგებო კრება 1918 წ. 24 ნოემბერს.

ქართულ კლუბის დაუბაზში კვირა დილით შესდგა საგანგებო კრება ხსენებულ დაწესებულების. კრებას დაესწრენ აგრეთვე საგანგებოთ ამისათვის მოწვეულნი პარლამენტის ხელოვნების კომისიის წევრნი და წარმომადგენელნი პრესისა.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ცნობილი დრამატურგი ნ. შიუკაშვილი, ხოლო საქმის ვითარება კრებას აუხსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ შალვა დადიანმა. მისი სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა არსებობს თითქო ბრძოლა იყოს ახლად დაარსებულ დრამატ. სტუდიის და კავშირის და ამის გამოფერხდებოდეს საქმე, როგორც ერთის ისე მეორეს მხრით. მოხსენებულ იქმნა ისიც, რომ ამ საქმეში თვით მთავრობაც ჩაერია, მაგრამ ორ დასს შუა შეთანხმება ვერ მოახერხა და ამ ჟამად საქმე ისე არის რომ სეზონი აღარც კავშირელებს აქვს და არც დრ. საზ-ს სტუდიას. მომხსენებელმა განუმარტა კრების, რომ კავშირის მისწრაფება იყო ქ. თბილისში შექმნილიყო ერთი, ესრეთ წოდებული აკადემიური დასი. რომელშიაც უნდა შესულიყვნენ დამსახურებულნი და აგრეთვე სასცენო საქმეში უკვე გამოწრთვნილი მსახიობნი, რომელთაც დაეცვათ მთელი ტრადიციები ჩვენის თეატრის. რაც შეეხება სტუდიის დაარსებას და ახალ ძალთა მოვლენას, ამას რაღა თქმა უნდა სიამოვნებით შეეგებებოდა კავშირი, მხოლოდ დრომდე ვერ მიიღებდა. კავშირს სწამდა, რომ სტუდია ეს მხოლოდ საწრთვნელი სკოლაა და მათი საშვალებით ჯეროვნად სეზონის წაყვანა შეუძლებელია, ამიტომაც სახელმწიფო თეატრში წარმოდგენების დღეები უნდა დათმობოდა მხოლოდ გამოცდილ დასს. აქედან კი თავის თავად გამომდინარეობს რომ კავშირი არავითარ მტრულ განწყობილებაში არ იმყოფებოდა სტუდიელებთან, მაგრამ სხვებისმიერ ეს ესე განმარტებულ არ იქმნა დ დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა სახელმწიფო თეატრში დღეების შოვნისთვის. ბოლოს, როგორც ყველას მოეხსენება, სტუდიის ანტრეპრენიორებმა თავისი გაიტანეს და ხელი მიჰყვეს სეზონის წარმოებას, მაგრამ ორი წარმოდგენის მეტი ვეღარ შესძლეს და ახლა დრ. საზ-ს გამგეობამ წინადადებით მოგვმართა, რომ ჩვენ უარს ვამბობთ სეზონის წარმოებაზე და თქვენ თუ გნებავთ ამ ჟამად შეგიძლიანთ სეზონის საქმეს ხელი მოჰკიდეთო.

ეს მდგომარეობა ოფიციალად დაადასტურა კრებაზე მყოფმა დრამ. საზ-ს თავმჯდომარემ იოს. ბართაშვილმა.

შემდეგ კრებაზე აღიძრა სურვილი რომ გამომჟღავნებულიყო მთელი წარსული ვითარება სეზონის საქმისა. ბევრმა ორატორმა დაასაბუთა, რომ კავშირი არაფერ შუაში იყო, თუ წრევანდელ სეზონის საქმე ასე აიწეწ—დაიწეწა და სხვ. მაგრამ კრების უმრავლესობამ აღარ მოისურვა წარსულ დადგენილების გარჩევა დ ამჯობინა პრაქტიკულ საშვალეის გამოძებნას ცდილიყვნენ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს, როგორც მსახიობებმა აგრეთვე რ. არსენიძემ, აკ. ფაღავამ, ს. ქანტურიშვილმა ალ. ახმეტელმა, ტ. ტაბიძემ და ბოლოს იმ გზას დაადგნენ, რომ კრებას აერჩია კომისია მთავრობასთან წარსადგომათ

კრებამ დაადგინა სეზონი აწარმოვოს კავშირმა ან თავის საკუთარის საშუალებით ან ანტრეპრენიორის გამოძებნით, ხოლო ყოველი ღონე იღონოს, რომ სეზონი უსათუოდ მოგვარებულ იმქნას ამასთანვე ხსენებულ კომისიას დაევალა ეთხოვოს მთავრობას, რომ მან საკუთრად იყოლიოს ქართული დასი სახელ. თეატრში, ხოლო თუ ეს ამ ჟამად მოუხერხებელია, რაიმე ნივთიერი დახმარება მაინც აღმოაჩინოს კავშირის დასს.

კომისიაში არჩეულ იქმნენ: რ. არსენიძე, ნ. შიუკაშვილი და შალვა დადიანი, რომელნიც ორშაბათს უნდა წარდგომოდენ კიდეც მთავრობას.

**ქართულ დრამ. საზ—ის სტუ იამ**, გ.. ჯაბადარის რეჟისორობით, სახელმწიფო თეატრში ნოემბრის 18 და 22, ზედიზედ დასდგა ბრიეს პიესა ,,სარწმუმოება''. ამ პიესის პირველმა წარმოდგენამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, მეორეზედაც საკმაო ხალხი დაესწრო, მიუხედავად იმის რომ ,,ავთა ენათა'' საზოგადოებრივი აზრი მოშხამეს; ბევრს იმედი აღეძრა; აჰა, ძლივს ველირსებით ჩვენის სცენის განახლებასო. ეს არც უსაბუთო იყო, მაგრამ... თურმე ჩვენში ხელოვნება და მის ოფიციალ ქირისუფალთა გრძნობა—ალღოიანობა იმდენად გაყინულია რომ ამ ახალ ქურუმთ ცივგულა სუსხისგან ფრთები დასცვივდათ. ეს კი დიდი უსამართლობა და უმადურობაა ჩვენი სასცენო ხელოვნების წინაშე. საერთო შთაბეჭდილება არა ჩვეულებრივი იყო; ასეთი შეხამებითი შერჩეული ფერებით, ერთსულოვნებით დადგმული პიესა იშვიათად გვინახავს: ხმა, მუსიკა, ფერები, ცეკვა, მორთულობა, სახის მოხატულობა—გრიმი და სხვ. დიდი ხელოვნებით იყო შესხმული. წუნია პატარძლებმა სხვა რომ ველარა გააწყეს-რა ჩურჩულიბდნენ: რაღა თარგმანით დაიწყეს სეზონი, პიესა მომაბეზრებელიაო და სხვ. ასეთ ,,ნაკლთა'' ჩამოთვლაში—კი თითქმის ხელიდან გაეპარათ ის გარემოება რომ ჩვენი სასცენო ხელოვნების ცის ტატნობზე ახალი სხივი გამოჩნდა და გაძლიერებისთვის ხელი უნდა შეეწყოთ. ახალგაზდა სცენის მუშაკნი იმდენად მომზადებულნი იყვნენ, რო ძნელად თუ ერთს მეორეს ამჯობინებდით: თითქოს ზეპირად ასრულებდნენ, მოკარნახის ხმა სულ არ ისმოდა. თითოეული მსახიობთაგანი ვასაოცარის ტიპიურობით ასახიერებდა ნაკისრ როლს და აქ ერთი რომელიმე მონაწილე კი არ ბრწყინავდა არამედ მთელი მონაწილეთა შეთანხმებულება. პიესაც თუმცა შიგ და შიგ გრძელი ადგილები მოეპოება, არც თუ ისე დასაწუნია; ძველი კერპების დამხობა, ხალხის წინმსვლელობას რომ გადაღობებიან, დამხობა იმ ცრუ ღმერთებისაა ხალხს მაჯლაჯუნასავით რომ დასწოლიან განა როდისმე დრო მოჭმულად ჩაითვლება? ყოველ საუკუნესა ჰყავს თავისი ცრუ ღმერთები, კერპები და მათ წინააღმდეგ აზრის ამუშავება როდია უადგილო. ჩვენის აზრით, ეს პიესა ცოტა რო შემოკლდებოდეს, სახალხო რეპერტუარში საპატიო ადგილს დაიჭერს. კერძოდ აღმსრულებელთა შორის თავი ისახელეს და საუკეთესო მომავალის იმედი აღგვიძრეს; ვ. ანჯაფარიძის ასულმა (იაუ). ჯიქიამ (ქურუმთქურუმი), სარჩიმელიძემ (ოკიტ) გელოვანმა (სათნი), ცინაძემ [პაქ] ალექსიშვილმა(ნურმ) მჟავიამ (ბითიუ) და სხ. მართალია გელოვანმა ხმა ვერ გამოიზოგა და სახელმწიფო თეატრის დარბაზს ვერ მაგრამ ეს შესანიშნავი მსახიობი დადგება. ანჯაფარიძის ასულმა პირდაპირ მოგვაჯადოვა თავისი ღრმა-შეგძებული დაკვირვებულ აღსრულებით და ვაცდით: სასარბებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობი დადგება ჯიქია; ასევე ითქმის დანარჩენ ახალგაზდობაზეც; ცაცა ამირაჯიბისა და ანეტა ქიქოძის წარმატებამ გაგვაოცა; დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. განსაკუთ. მეორე ანსამბლში იყვენ თავთავის ადგილს; მ. ჭიაურელი ხომ ჯადო-მსახიობია: ძნელად თუ შეამჩნევდით, რომ ბითუს და სათნის აღმასრულებელი ერთი და იგივე პირია. გზა მიეცით და იგი თავის ძალას გამოაჩენს. გ. იშხნელი [ფარაო] და ი. ზარდალიშვილი [რეჰუ] თვისს როლებს კარგად ასრულებდენ, მაგრამ საერთო ფარგლიდან ირკვეოდენ. საერთოდ ახალი დასი რო მხოლოდ ახალ ძალთაგან შესდგებოდეს, უკეთესია.—საჭიროა აქვე აღვნიშნოთ რომ კირველ მოქმედებაში ეპიზოდურ როლების აღმასრულებელნი ღირსეულად ასრულებდენ თვის მოვალეობას. მშვენიერი იყო სალიანგო სცენები დ მუსიკა.

ვიმეორებთ. დიდი დანაკლისი იქნება თუ ეს სტუდია მოქმედებას შესწყვეტამს. ბ-ნ გ. ჯაბადარს ეტყობა საკმაოდ განვითარებული ჰქონია სახელოვნო გემოვნება, სასცენო უნარი, ცოდნა და თუ იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი სახელოვნო ყინულიც გაალხო—მომვალი მისია და ამ რწმენით ვუსურვებთ წარმატებას. **წინამძღვარ—ი**

**ქართველ მსახიობთა კავშირის** დასის სეზონი სახელმწიფო თეატრში ქრისტიშობისთვის 6 ტრადიციულ პიესა ,,ღალატი''თ ტრადიციულად დაიწყო: წამოდგენა გასცხადებისამებრ საათის შვიდზე კი არ, ტრადიციულად თითქმის რვაზე დაიწყო რამაც ტრადიციული ტაში-,,ვრემია'' ასტეხა დარბაზში. როგორც გავიგეთ, ერთს დამსახურებულ მსახიობს თავის ტრადიციისთვის არ ეღალატნა და ტრადიციულადვე დაიგვიანა, რამაც ამხანაგები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და ამ ტრადიციულმა ჩვეულებამ ,,მოშალა,'' წარმოდგენა ტრადიციული იყო: არც ძალიან კარგი არც ძალიან ცუდი. მთავარ მსახიობთ შორის სრული ანსაბლი ვერ იყო, თითქო მოქანცულან და უსიამოვნო ტვირთს მიათრევენო, სტატისტები და მათგან შექმნილი სალიანგო სცენები ტრადიციული იყო: ნამდვილი ბრბოსებური და მოუმზადებელი, თითქო არც დრო და არც ადგილი ჰქონიათ მათ მოსამზადებლადაო. დასში დამსახურებული მსახიობნია. ამ ძალით უკეთესად შეუძლიანთ სეზონის წარმოება. ახალ ძალთაგამ შევნიშნეთ ძნელაძე, პირველი შთაბეჭდილება კარგია. ხალხი მრავალი დაესწრო. პიესა შეპარსული იყო საჭიროა მეტი მუშაობა და სიცხოველე.

,,**მთის ზღაპარი**'' ნ. შიუკიშვალისა მსახიობთა ,,კავშირის'' მიერ სახელ. თეატრში დადგმული ქრისტეშ. 13, უკვდავი ამბავია—სიყვარული მძლეთა მძლეა და მოვალეობის დამძლეველი. ეს აზრი ავტორს პოეტურ სურათებში აქვს ჩამოქნილი. პიესა თუმცა გვარიანად იყო დადგმული, მაინც გარეგნული ეფექტებით მოისუსტებდა: შენობის კედლები ისე ფამფალებდა, გეგონება უნდა გადმოიქცესო. ეს სულ უბრალო რამ შთაბეჭდილებას აქარწყლებდა. ნ. დავითაშვილმა (მელო) ორ ცეცხლ შუა მოქცეულ ადამიანის ბრძოლა: სიყვარული თუ მოვალეობა, საყვარელ ადამიანთან თუ ბრმა გარემოებით შეუღლებულ კაცთან დარჩენა,=საუცხოვოდ გამოჰხატა. გ. იშხნელი ღირსეული აღმასრულებელი აღმოჩნდა თუში ლეოსი. ეს მსახიობი თანდისთან თანდისთან მწიფდება და კაი ძალას წარმოადგენს. მეტად ტიპიურნი იყვნენ გ. ფრონისპირელი [ფოცხვერა], ე. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე [ყაფლან) და ნ. ციციშვილი. ახალგაზდა მსახიობმა დ. ძნელაძემ სინამდვილით განასახიერა სიძე, გულეშვილი თავადიშვილი. ამ მსახიობს ხმა, გარეგნობა სასცენო აქვს და თუ ნიჭის განვითარებას გზა მისცა—ღირსეულ ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

**სინათლე**, ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა, კავშირმა წარმოადგინა დეკემ. 16 და 20. პიესამ კარგად ჩაიარა. დაესწრო დიდძალი ხალხი. მესამედ ხვალ წარმოადგენენ. **უსავანო**

**ოპერა** სახელმწიფო თეატრში ევლახიშვილის თაოსნობით წესიერად ნიდის მას შემდეგ, რაც წინანდელმა ანტრეპრენიორმა წამხდარ საქმეს თავი მიანება და მომღერალ—მსახიობნი ღვთის ანაბარად დაჰყარა. დასში კარგი ძალნი არიან, ანსამბლი თითქმის მუდამ დაცულია და საზოგადოებაც ხალისით ესწრება: თეატრი თითქმის მუდამ გაჭედილია ხალხით. უმთავრესად ევროპიული-რუსული ოპერები იდგმის. სავალალოა, რომ ვერ იქმნა და ქართული ოპერა ჯერ კიდევ ვერ მოეწყო. საჭიროა ამ მხარეს დროით მიექცეს ყურადღება

## ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი

**ჩვენი ცნობილი მსახიობი ვალ. შალიკაშვილი** ამ ჟამად მძიმე ავად არის. ექიმების სიტყვით მისი სოხუმშიგ ამგზავრება აუცილებელია. ეჭვს გარეშეა დაწესებულებანი და საზოგადო მოღვაწენი ყურად იღებენ ჩვენი ერის წინაშე ნაამაგდარ შალიკაშვილის კრიტიკულ მდგომარეობას და ტანჯვას.

შემოწირულებანი მიიღება ლატარიის კანტორაში და ქართულ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარესთან.

**სანგანიძემ** დაამზადა ცნობილ გერმანელ პროფესორ პირსთორფის ლექცია ,, **ქალთა შრომა და ქალთა საკითხი**". შინაარსი: როგორ განვითარდა ქალთა შრომა.- შრომის რა დარგს უფრო ეტანება ქალი.—მუშა—ქალის თანამედროვე მდგომარეობ.—მუშა-ქალის ხელ-ფასი.- ქალთა საკითხის წარმოშობა და განვითარება.—ქალთა საზგადო და საპროფესიო განათლების გამავრცელებელი საზოგადოებანი.—ქალთა უმაღლესი სწავლა-განათლება.—ქალების მოღვაწეობა ქველ მოქმეოების სარბიელზე.—სამოქალაქო დებულებით ქალის უფლებრივი მდგომარეობა გერმანიაში.—სხვა და სხვა სახელმწიფოებში.—ქალის საზოგადო-უფლებრივი მდგომარეობა.—ქალთა საემანსიპაციო მოძრაობის განვითარების ისტორია.

ლექცია შემოკლებულია და შეიცავს რვეულის 50 სავსე გვერდს. თუ ვინმე იკისრებს ამ ნაშრომის გამოცემას, სანგანიძე დაუთმობს ხელმისაწვდენ საფასურში და ფრიად შეღავათიან პირობით თვითონ ე იკისრებს წიგნაკის კორექტურას.

მისამართი: თბილისი არაგვის ქ. 12 ლოლუას ბინა.

## მ ო წ ო დ ე ბ ა

ნათქვამია სწავლა არავის მოსჭარბებიაო, ამიტომ ვურჩევ ყველას, ისწავლონ დასავლეთ ამერიკის ენა ანუ იდიომა, რომელიც გაბატონებულია საზღვარგარეთ ყველგან, დასავლეთ ამერიკის იდიომას ეწოდება კასტიჟ, რომელიც მე თვითონ შემიძლიან ვასწავლო პრაქტიკულად, რადგან ოთხი წელიწადი ვსწავლობდი ბუენოს აირესში.

[library stamp]

ამ ენის სწავლა ყველასათვის სასურველია თუ ამ ენის სწავლება გავრცელდა აქა, დასავლეთ-ამერიკელები ჩვენ ყველას დიდს დახმარებას აღმოგვიჩენენ ნივთიერად, რადგან იქაურების პოლიტიკა, მათი ენა გავრცელდეს მთელ დედამიწის ზურგზე. თუ ეს ჩემი აზრი აღსრულდა, მაშინ მე ვაცნობებ ჩემს იქაურ საყვარელ ინტელიგენციასა და რედაქციებს, გამოვიწერ მასწავლებლებს და ამასთანავე ვთხოვ შემწეობას იქაურ მილიანერებსა, რომელნიც უეჭვ. დახმარებას აღმოგვიჩენენ. გარდა ამისა ვასწავლი სატელეგრაფო საქმესაც. სწავლის მსურველთ მნახონ თბილისში სათეატრო ქუჩაზე, № 1, საბაკალეო სავაჭრო „ბუენოს აირესში“.

ალ. მიხ. ტატიშვილი

## შემოწირულება

**ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრების“** ფონდის გასაძლიერებლად სევერიან მატარაძის თაოსნობით პ. ი. კოკოჩაშვილის ,,ფარმაცევტთა ამხანაგის“ აფთიაქიდან შემოსწირეს:

| | | |
|---|---|---|
| 1] | ს. ლ. მატარაძემ | 10 მ. |
| 2] | ნ. ი. მატარაძისამ | 5 მ. |
| 3] | ტ. ლ. რუხაძემ | 5 მ. |
| 4] | თ. მ. ხანთაძისასულმა | 5 მ. |
| 5] | მ. ნ. ლორთქიფანიძემ | 5 მ. |
| 6] | ქ. სანოძის ასულმა | 5 მ. |
| 7] | . თორაძემ | 5 მ. |
| 8] | ს. ტურაბელიძემ | 3 მ. |
| 9] | ს . მ. ბათმანაშვილმა | 5 მ. |
| 10] | ფ. მეგრელიშივლმა | 5 მ. |
| 11] | ვ. ხარაზიშვილმა | 5 მ. |
| 12) | ე. ი. გოცირიძს ასულმა | 5 მ. |
| 13) | ივ. ჩითაშვილმა | 20 მ. |
| 14) | ექიმ აპ. ტყემალაძემ | 50 მ. |
| 15) | უცნობმა | 20 მ. |
| 16) | ალ. ს. ლორთქიფანიძემ | 50 მ. |
| 17) | ,,თეატრი და ცხოვრების მეგობარმა | 25 მ. |

შემოწომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით.

რედ.


ა რ თ უ ლ ი

# ლ ა ტ ა რ ი ა

ა რ დ ა გ ა ვ ი წ ყ დ ე თ!

**ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ** გამოსულია **ხუთი მილიონის** ბილეთი.

პირველი მოგება 1000. 000 მანეთია. სულ მოგებაში დარიგდება **ნახევარი მილიონი.**

ვადა ხხლოვდება, დაეშურვთ ბილეთების ყიდვას. ბილეთები იყიდება თბილისს ლატარიის კანტორაში სასახლის ქ. № 5. პროვინციაში ყველგან საცა გამოცხადებული


# პირველი სეზონი

## ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირისა

წარმოდგენები გაიმართება **სახელმწიფო თეატრში** ორშაბათობით და პარასკეობით

### დ ა ს ი

| **ქალები:** | **ვაჟები:** |
|---|---|
| აბაშიძე ტასო, | აბაშიძე ვასო, |
| ანდრონიკაშვილი ელო, | აბდუშელი დავ. |
| ანკარა სოფიო, | ბარველი ივანე, |
| გოგოლაშვილი თამარ, | გვარაძე ნიკო, |
| დავითაშვილი ნინო, | გუგუშვილი ალ. |
| ლეჟავა ოლ. | დადიანი შალვა, |
| პიერეტი ტ. | იშხნელი გიორგი, |
| მესხი ეფემია, | იორდანიშვილი გ. |
| სინაურიძე ოლ | მატარაძე ვიქტორ. |
| ქილარჯიშვილი მარ | ჟიჟიძე იოსებ |
| | სანდალა |
| ჩერქეზიშვილი ელისაბედ | სარაული მიხ |
| ჩხეიძე ანნა | ფრონნსპირელი გ. |
| ჯავახიშვილი ნატ | ციციშვილი ნიკ· |
| | ძნელაძე დავ· |
| | ჯაფაურიძე შ. |

აგრეთვე დრო გამოშვეგით მიიღებენ: **ქ. ნ. ჩხეიძე ბბ. ვ. გუნია, ვ. გამყრელიძე გედევანოვი ალ. იმედაშვილი ქ. ყიფი ნი**

**განზრახული რეპერტუარი**: ახალი პიესები ორგინალი: ტარიელ გოლუა ლეო ქიაჩელის, სინათლე 2 ნაწილი—ი. გედევანიშვილის, ბედის ტრიალი—ან ერისთავ-ხოშტარიასი, მწირი-სარდალი დუტუ მეგრელის, ბურუსი სიო ჭანტურიშვილის; თარგმ.: დიდი ამბავი ტყუილ-უბრალოთ შექსპირის; ძველი რეჟიმი რიშკოვის სასახლის კარზე კომ.; ძველთაგან ორიგინალი—მთის ზღაპარი ნ. შიუკაშვილის; სიმახინჯე მისივე; სინათლე 1 ნაწილი გედევანიშვილის; მსხვერპლი მისივ. ღალატი სუმბათიშვილის; უგვირგვინო მეფენი ალ. შანშიაშვილის; ვინ არის დამნაშავე ნ. ნაკაშიძის; თარგმ. იულიოს კეისარი შექსპირის; გაუდეამუს' ანდრეევის; ივდით ჯიოკომეტის; ხალხას სიკეთე ჰერცლის; იუდას მემკვიდრე სობოლჩიკოვ—სამარინის; ანტიგონე სოფოკლესი. რეჟისორობას გასწევენ—შალვა დადიანი ნ. შიუკაშვილი დავ. ყუშიტაშვილი. საჭიროების დაგვარ მხატვრულ შემოქმედებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა და ხვა სპეციალისტები მხატვრევი მუსიკოსები და სხ. და მათ შორის სცინის ცნობილი ტეხნიკოსი

**ბ. ზ ა ლ ც მ ა ნ ი**

წარმოდგენები ყოველვის დაიწყება სად. 7 საათზე. ადგილების ფასი ხელ-მისაწდომია. ორშაბათს 23-ს დე· წარმოდგენილი იქმნება სინათლე. 1 ნაწილი გედევანიშვილის 3 მ. 7 სურ.


# ხელოვანი მხატვარი

დ ი ა ნ ო ზ კ ი კ ნ ა ვ ე ლ ი ძ ე.

ადიდებს ფოტოგრაფიულს სურათებს და ასრულებს ყოველგვარ მხატვრულ საქმეს.—ამზადებს საუცხოვოდ, ფაქიზად და დროზე. მისამართი: ქ. თბილისში — სამოვოლენი ქ. №1, ფვორილაში —ფოსტის ქ. ბეგლარ გვენცაძის სახლში.


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**